

საავტომობილო გაზის ბაზრის მონიტორინგი



ანგარიში

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
თბილისი
2023 წელი

შესავალი.....	3
1. საავტომობილო გაზის ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები	3
2. საავტომობილო გაზის შესაბამისი ბაზარი	3
2.1. საავტომობილო გაზის ბაზრის პროდუქციული საზღვრები.....	4
2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები.....	5
2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო	5
3. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება.....	5
3.1. შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები.....	6
3.2. საავტომობილო ბუნებრივი გაზი (აირისებრ მდგომარეობაში-Compressed Natural Gas)...	6
3.3. თხევადი გაზი - ბაზრის იმპორტის დონე (გათხევადებული - Liquefied petroleum gas) .	10
3.4. თხევადი გაზის ბაზრის საცალო დონე.....	10
4. ფასების ანალიზი	12
7. დასკვნა.....	13

შესავალი

საავტომობილო გაზის ბაზრის მონიტორინგი, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის შეფასების მიზნით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17² მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 5 ივლისის N04/162 ბრძანების საფუძველზე დაიწყო. განხორციელებული მონიტორინგით შესაფასებელ პერიოდს, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოადგენდა 2019-2022 წლები.

1. საავტომობილო გაზის ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

საავტომობილო გაზის ბაზრის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 27-ე თავი, რომელიც ეხება აქციზს. კოდექსის ამავე თავის 182-ე მუხლით განისაზღვრება აქციზის გადამხდელი პირები, რომლებიც ახორციელებენ ბუნებრივი გაზის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის და აქციზური საქონლის იმპორტის ან ექსპორტის თანხა ბუნებრივი გაზისთვის (აირისებრ მდგომარეობაში) განისაზღვრება აირის მოცულობით. ბუნებრივი გაზი (გათხევადებული) (2711 11 000 00 კოდით) აქციზის გადასახადი დაიანგარიშება 1 ტონაზე 300 ლარის ოდენობით, ხოლო ბუნებრივ აირზე (აირისებრ მდგომარეობაში) (2711 21 000 00 კოდით), ყოველ 1000 მ³ - ზე - 200 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, ადგენს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების ტერიტორიის, შენობების, ნაგებობების, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიმართ, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის წესს.

2. საავტომობილო გაზის შესაბამისი ბაზარი

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-4 მუხლში მოცემულია შესაბამისი ბაზრის ანალიზის ეტაპები - სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის მოიცავს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების

ეტაპებს. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

2.1. საავტომობილო გაზის ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

გაზგასამართ სადგურებზე ხელმისაწვდომია 2 სახეობის საავტომობილო გაზი, თხევადი გაზი (გათხევადებული - Liquefied petroleum gas) და ბუნებრივი გაზი (აირისებრ მდგომარეობაში - Compressed Natural Gas). ამასთან, თხევადი და ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველყოფა ხდება თითოეული სახეობის გაზისთვის გამოყოფილ სპეციალურ გაზგასამართ სადგურებზე.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებზე მსჯელობის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ჩანაცვლებადობის განსაზღვრა როგორც მიმწოდებლის, ასევე მომხმარებლის დონეზე. მიმწოდებელი, ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად ვერ შეძლებს მარტივად გადაერთოს ერთი სახეობის პროდუქტის მიწოდებიდან მეორე სახეობის პროდუქტის მიწოდებაზე და პირიქით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განსხვავებულია გადაზიდვის და შენახვის სპეციფიკა, მარიგებელი სვეტების/ჩატუმბვის მახასიათებლები, არსებული განსხვავების აღმოფხვრა კი საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯსა და ლოგისტიკურ უზრუნველყოფას ეკონომიკური აგენტის მხრიდან. პროდუქტები ასევე არ არის ჩანაცვლებადი მომხმარებლის მხრიდანაც, გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებრივ გაზზე მომუშავე ავტომობილის გამართვა შეუძლებელია თხევადი გაზის საწვავით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის და შესაბამისად ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საავტომობილო ბუნებრივი და თხევადი გაზი განიხილება როგორც სხვადასხვა პროდუქციული ბაზარი, რაც როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებულია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მიმწოდებლის მხრიდან ბუნებრივი გაზიდან თხევად გაზზე და პირიქით გადასვლის სირთულე (არსებითი დანახარჯების/საწარმოო ცვლილებების საჭიროების არსებობა); გაზგასამართ სადგურებზე პროდუქტების რეალიზაციის სპეციფიკა; გადაზიდვის სპეციფიკა. მომხმარებლის მხრიდან

ჩანაცვლებადობის არ არსებობა. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტო თხევად გაზს (გათხევადებული - Liquefied petroleum gas) და ბუნებრივ გაზს (აირისებრ მდგომარეობაში - Compressed Natural Gas) განიხილავს როგორც სხვადასხვა პროდუქციულ ბაზარს.

2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-12 მუხლის თანახმად, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას სააგენტო ითვალისწინებს საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის თავისუფალი გადაადგილების/გადატანის შესაძლებლობას.

საავტომობილო გაზის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. გვხვდება ქსელური გაზგასამართი სადგურები და ქსელური ფასწარმოქმნა (რიგ შემთხვევებში). ამდენად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტერიტორიას.

2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-13 მუხლის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. საავტომობილო გაზზე მოთხოვნა და ხელმისაწვდომობა არ არის დამოკიდებული სეზონურობაზე - რეალიზაცია ხორციელდება უწყვეტად და შესაბამისად დროით ჩარჩოს სრული კალენდარული წელი წარმოადგენს.

3. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურენტული გარემოს შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;*
- ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;*
- გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;*
- დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები;*
- ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა;*

ვ) დამატებითი პარამეტრები, რომელთა გათვალისწინებას სააგენტო აუცილებლად ჩათვლის კონკრეტული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3.1. შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზი მოიცავს ბაზრის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც სააგენტო იკვლევს: ბაზარზე შესვლის, გაფართოებისა და ბაზრიდან გასვლის ბარიერების არსებობას/არარსებობას პოტენციური კონკურენტებისათვის და მათი დაძლევის სიმარტივეს/სიძნელეს; ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს; პოტენციური მიმწოდებლების ფაქტობრივ შესაძლებლობას, გახდნენ მოცემული ბაზრის მონაწილეები; შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები.

როგორც უკვე აღინიშნა, როგორც თხევადი, ასევე ბუნებრივი გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირების დასაწყებად აუცილებელია უსაფრთხოების მთელი რიგი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებით „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების ტერიტორიის, შენობების, ნაგებობების, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიმართ, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის წესს.

გაზგასამართი სადგურის გამართვა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან, რაც შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ბაზარზე შესვლის ფინანსური ბარიერი. ასევე აღსანიშნავია 1-ზე მეტი (ქსელური) გაზგასამართი სადგურის გამართვასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების სიდიდეც, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშედ ფორმირების ფინანსურ ბარიერს.

3.2. საავტომობილო ბუნებრივი გაზი (აირისებრ მდგომარეობაში-Compressed Natural Gas)

იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების პირველ ეტაპს წარმოადგენს ბაზრის მოცულობის განსაზღვრა, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ბაზრის/ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებებზე.

იმპორტირებული ბუნებრივი გაზი ძირითადი მოცულობის მოხმარება ხდება საყოფაცხოვრებო და კომერციული მიზნებისთვის. ბაზრის სპეციფიკის/რეგულირების გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტოს მიერ კონკურენტული გარემოს შეფასების ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა შესაბამისი ბაზრის საცალო დონე. ქვეყანაში ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან,¹ რის შემდეგაც, შიდა ბაზარზე განაწილებული/მიწოდებული გაზის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა გამანაწილებელი ეკონომიკური აგენტებისგან² და შედეგად, მოხდა საცალო ბაზრის მოცულობის და კონცენტრაციის ინდექსის (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი - HHI)³ გამოთვლა, კერძოდ:

2019 წელს საცალო ბაზარზე მოქმედი 97 კომპანიის (134 გაზგასამართი სადგური) მიერ განხორციელდა 188 635 780 ლარის (192 628 000მ³) საავტომობილო ბუნებრივი გაზის შეძენა.⁴ შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1005 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ნეო გაზი“ - ■■■%; სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - ■■■%; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ - ■■■% და სხვა 94 კომპანია - 49.7%.

2020 წელს საცალო ბაზარზე მოქმედი 96 კომპანიის (143 გაზგასამართი სადგური) მიერ განხორციელდა 118 865 463 ლარის (147 893 000მ³) საავტომობილო ბუნებრივი გაზის შეძენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1338 ერთეული, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ნეო გაზი“ - ■■■%; სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - ■■■%; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ - ■■■% და სხვა 93 კომპანია - 45.5%.

¹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 10 მაისის წერილი N 1/09-3-3384 (სააგენტოში რეგისტრაციის N 01/1562 2023 წლის 11 მაისი).

² შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ 2023 წლის 21 დეკემბრის წერილი რეგ N01/4405; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 2023 წლის 23 აგვისტოს წერილი რეგ N01/2815; შპს „გაზ თრეიდინგის“ 2023 წლის 20 ივლისისა და 01 აგვისტოს წერილები რეგ N01/2439 და N01/2560; შპს „ეს ჯი გაზ კომპანის“ 2023 წლის 18 ივლისის წერილი N01/2404; შპს „თელავგაზის“ 2023 წლის 04 ივლისის წერილი N01/2223; შპს „იბერკომპანის“ 2019 წლის 19 ივლისის წერილი N01/730; შპს „ყასტრანსგაზ-თბილისის“ 2019 წლის 03 იანვრის წერილი რეგ N01/02; შპს „გასკოს“ 2018 წლის 27 დეკემბრის წერილი რეგ N01/1165.


³ შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე. შესაბამისი ბაზარი შეიძლება იყოს - დაბალკონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებული ან მაღალკონცენტრირებული: ა) დაბალკონცენტრირებული - $HHI < 1250$; ბ) ზომიერად კონცენტრირებული - $1250 < HHI < 2250$; გ) მაღალკონცენტრირებული - $HHI > 2250$.

⁴ გაზგასამართი სადგურის მიერ გამანაწილებელი კომპანიისგან შეძენილი ბუნებრივი გაზის მოცულობა ამავდროულად წარმოადგენს საცალო ბაზარზე მიწოდებული ბუნებრივი გაზის მაჩვენებელს.


2021 წელს საცალო ბაზარზე მოქმედი 95 კომპანიის (127 გაზგასამართი სადგური) მიერ განხორციელდა 119 474 586 ლარის (160 065 000მ³) საავტომობილო გაზის შექმენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1133 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ნეო გაზი“ – ■■■%; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ – ■■■%; სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ – ■■■% და სხვა 92 კომპანია - 48.8%.

2022 წელს საცალო ბაზარზე მოქმედი 88 კომპანიის (128 გაზგასამართი სადგური) მიერ განხორციელდა 169 633 554 ლარის (190 789 000მ³) საავტომობილო გაზის შექმენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 1004 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ – ■■■%; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ – ■■■%; სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - ■■■% და სხვა 85 კომპანია - 53.4%:


გრაფიკი 1



⁵ 2022 წელს მოხდა შპს „ნეოგაზის“ რეორგანიზირება - შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“.



საცალო ბაზარი დაბალკონცენტრირებულია (2020 წელს ზომიერად კონცენტრირებული), სახეზეა რამდენიმე მსხვილი კომპანია, თუმცა, ბაზარზე ამავდროულად მაღალია მცირე კომპანიების რაოდენობა და საერთო პროცენტული წილი. ბაზრის განსახილველი დონე, მცირე კომპანიების რაოდენობის გათვალისწინებით, გამოირჩევა კონცენტრაციის დაბალი ინდექსით:



3.3. თხევადი გაზი - ბაზრის იმპორტის დონე (გათხევადებული - Liquefied petroleum gas)

2019 წელს - შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე მოქმედმა 36-მა ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა 24 402 640 კგ. (41 015 037 ლარი) თხევადი გაზის იმპორტი. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 937 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ჯორჯიან გაზ იმპორტი“ - ■■■%; შპს „იოს“ - ■■■%; შპს „ელ პი ჯი გაზი“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 60.5%.

2020 წელს - შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე მოქმედმა 53-მა ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა 28 534 834 კგ. (51 118 323 ლარი) თხევადი გაზის იმპორტი. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 866 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ჯორჯიან გაზ იმპორტი“ - ■■■%; შპს „ლპჯ-გაზი“ - ■■■%; შპს „Iveria Supply Logistics & Energy Trading Group (ISLET Group)“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 58.1%.

2021 წელს - შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე მოქმედმა 89-მა ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა 35 266 142 კგ. (91 264 801 ლარი) თხევადი გაზის იმპორტი. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 855 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ავტო ელპიჯი ჯორჯია“ - ■■■%; შპს „ჯორჯიან გაზ იმპორტი“ - ■■■%; შპს „ლ.დ.დ“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 57%.

2022 წელს - შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე მოქმედმა 58-მა ეკონომიკურმა აგენტმა განახორციელა 42 274 714 კგ. (80 178 679 ლარი) თხევადი გაზის იმპორტი. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 781 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ჯორჯიან გაზ იმპორტი“ - ■■■%; შპს „ავტო ელპიჯი ჯორჯია“ - ■■■%; შპს „გაზ ჯორჯია იმპორტ“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 63.7%.

3.4. თხევადი გაზის ბაზრის საცალო დონე

თხევადი გაზის საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების იდენტიფიცირება მოხდა იმპორტიორი კომპანიების მიერ რეალიზებული თხევადი გაზის (მონაცემების


ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით) და სსიპ შემოსავლების სამსახურის აგვს-ების მონაცემთა ბაზის შესაბამისად:⁶

2020 წელს - თხევადი გაზის საცალო ბაზარზე მოქმედმა 133-მა კომპანიამ განახორციელა 29 840 303 კგ. თხევადი გაზის შექმენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 732 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ავტო ელპიჯი ჯორჯია“ - ■■■%; შპს „ტაქსის სერვისი“ - ■■■%; შპს „აჭარინვესტი“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 63%.

2021 წელს - თხევადი გაზის საცალო ბაზარზე მოქმედმა 131-მა კომპანიამ განახორციელა 17 095 920 კგ. თხევადი გაზის შექმენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 287 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „გაზტრანსავტო“ - ■■■%; შპს „აჭარინვესტი“ - ■■■%; სს „ელ პი ჯი გაზი“ - ■■■% და სხვა კომპანიები - 80.2%.

2022 წელს - თხევადი გაზის საცალო ბაზარზე მოქმედმა 120-მა კომპანიამ განახორციელა 23 508 212 კგ. თხევადი გაზის შექმენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 319 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. მსხვილ შემსყიდველ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენდნენ: შპს „ტაქსის სერვისი“- ■■■%; შპს „დელტა“ - ■■■%; შპს „გაზ სერვის გრუფ“- ■■■% და სხვა კომპანიები - 77.6%.

გრაფიკი 4



⁶ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2023 წლის 4 აპრილის N21-11/27943 წერილით მიღებული ინფორმაცია (რეგ. N01/1121, 4 აპრილი).


⁷ წლიურ ჯამური შექმენით - 1000 კგ. და მეტი.


4. ფასების ანალიზი

იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, კონკრეტული კრიტერიუმების მიღმა, ითვალისწინებს სხვა დამატებით ფაქტორებს, რომელთა განსაზღვრისა და გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი დგება კონკრეტული ბაზრის/ბაზრების თავისებურებებიდან გამომდინარე. ამგვარ ფაქტორად, არსებული მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტო განიხილავს საავტომობილო გაზის ფასების ანალიზს, როგორც თხევადი, ასევე ბუნებრივი გაზის შემთხვევაში.

სააგენტოს დაკვირვების ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საცალო ბაზარზე მოქმედი თხევადი და ბუნებრივი გაზგასამართი სადგურების საცალო ფასი და პროდუქტის თვითღირებულება:

გრაფიკი 5





აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წარმოდგენილ გრაფიკებში (N5-6) მოცემულია მხოლოდ ბუნებრივი და თხევადი გაზის თვითღირებულება, რასაც ემატება საცალო ქსელში საცალო მომხმარებლისთვის მიწოდების დონეზე კომპანიის საოპერაციო ხარჯები. გასათვალისწინებელია ასევე არსებული გადასახადებიც. სააგენტოს დაკვირვების მთავარ მიზანს წარმოადგენდა თვითღირებულების და საცალო ფასის კორელაციის შესწავლა. წარმოდგენილი გრაფიკებით ამგვარი კორელაცია დგინდება და შესაბამისად, ფასის ცვლილება შესასწავლ პერიოდში განპირობებული იყო საბაზრო ფაქტორებით.

7. დასკვნა

საავტომობილო გაზის შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი მოიცავს ბაზრის მრავალმხრივ შეფასებას. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა საავტომობილო გაზის შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი ჩარჩოს განსაზღვრა; ჩატარდა შესაბამისი ბაზრის მრავალმხრივი რაოდენობრივი ანალიზი, იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა ბაზარზე დომინანტური ან/და ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა, ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები ან/და კონკურენციის შემზღვეველი სხვა რაიმე ფაქტორების არსებობის რისკი.

გამომდინარე იქიდან, რომ საავტომობილო გაზის რეალიზაცია ორ ძირითად მიმართულებად იყოფა: თხევადი გაზი (გათხევადებული-Liquefied petroleum gas) და ბუნებრივი გაზი (აირისებრ მდგომარეობაში-Compressed Natural Gas), მონიტორინგის პროცესში აუცილებელი გახდა დეტალური ანალიზის ჩატარება ორივე მიმართულებით.

მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ საავტომობილო გაზის იდენტიფიცირებულ ბაზარზე ფიქსირდება ბაზარზე შესვლის და ოპერირების სპეციფიკური ბარიერები, საავტომობილო გაზის მიწოდების, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ბარიერები თანაბრად ვრცელდება ყველა არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტზე, რაც არადისკრიმინაციულობის, თანაბარზომიერებისა და პროპორციულობის მაჩვენებელია.

მონიტორინგის ფარგლებში, ბაზრების სპეციფიკის და რეგულირების გათვალისწინებით, კონკურენტული გარემო შეფასდა ბუნებრივი გაზის საცალო, თხევადი გაზის იმპორტის და საცალო სარეალიზაციო ბაზრებზე. მოხდა შესაბამისი ბაზრის დონეების მოცულობის, მოქმედი კომპანიების და მათი რაოდენობის, საბაზრო წილების და ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის განსაზღვრა. შედეგად დადგინდა, რომ:

ბუნებრივი გაზის (აირისებრ მდგომარეობაში) შესაბამისი ბაზრის საცალო დონე 2019, 2021 და 2022 წლებში დაბალკონცენტრირებულია. 2020 წელს ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია, თუმცა მაჩვენებელი მხოლოდ მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) ინდექსს (გრაფიკი N3);

ბუნებრივი გაზის (აირისებრ მდგომარეობაში) შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე არ ფიქსირდება დომინანტური მდგომარეობა, კერძოდ, ადგილი არ აქვს როგორც კონკრეტული კომპანიის დომინანტურ მდგომარეობას, ასევე, არც ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ 3 მსხვილი კომპანიის ჯამური წილი ბაზარზე აღემატება 50%-ს, თუმცა არ კმაყოფილდება კანონის მოთხოვნა - თითოეული კომპანიის მიერ 15%-ზე მეტი წილის ფლობის შესახებ (გრაფიკი N1). ამასთან, მსხვილი კომპანიების წილი საცალო ბაზარზე არ ხასიათდება ზრდის ტენდენციით, პირიქით სახეზეა შემცირება (გრაფიკი N2);

ბუნებრივი გაზის (აირისებრ მდგომარეობაში) შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე მაღალია მოქმედი მცირე კომპანიების რაოდენობა და საერთო პროცენტული წილი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კონკურენტულ გარემოს და შესაბამისად კონცენტრაციის დაბალ ინდექსს ბაზრის განსახილველ დონეზე;

თხევადი გაზის შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე დაბალკონცენტრირებულია. შესასწავლ პერიოდში კონცენტრაციის ინდექსი არ აჭარბებს 937 ერთეულს;

თხევადი გაზის შესაბამისი ბაზრის საცალო დონე ასევე დაბალკონცენტრირებულია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფურ დომინანტობას. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი, მსხვილი კომპანიების წილის, ბაზარზე მოქმედი მცირე კომპანიების რაოდენობის და მათი საერთო პროცენტული წილის გათვალისწინებით გამოირჩევა კონცენტრაციის ინდექსის შემცირების ტენდენციით (გრაფიკი N4-5);

როგორც თხევადი ასევე ბუნებრივი გაზის (აირისებრ მდგომარეობაში) საცალო ბაზარზე ფასის ცვლილება განპირობებულია იყო საბაზრო ფაქტორებით. სააგენტომ დეტალურად შეისწავლა საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების ფასწარმოქმნა და მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორი - პროდუქტის თვითღირებულება. შედეგად დაგინდა, რომ საცალო ფასის ცვლილება კორელაციაშია მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორთან და შესაბამისად, ადგილი არ აქვს იმგვარ საცალო ფასწარმოქმნას, რაც გააჩენდა კითხვებს მის განმაპირობებელ ფაქტორებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დეტალური ანალიზისა და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მონიტორინგის ფარგლებში განსაზღვრულ საავტომობილო გაზის (თხევადი და აირისებრ მდგომარეობაში) ბაზარზე არ გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის რისკები. შესაბამისად, არ არსებობს განგრძობითი დაკვირვების წარმოების მიზნით მონიტორინგის გაგრძელების საფუძველი. კერძოდ, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის და მისი ცვლილების, მსხვილი კომპანიების წილობრივი განაწილებისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით მონიტორინგის პროცესში გამოკვლეული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ 2019-2022 წლებში შესაბამისი ბაზარი თავსებადი იყო კონკურენტულ გარემოსთან.